სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეებების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. თბილისი 15 აგვისტო 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

თენგიზ კალანდაძე - კომისიის თავმჯდომარის მ.შ.

ნუგზარ ფირანიშვილი - კომისიის წევრი

ივანე ცერცვაძე – კომისიის წევრი

მაკა შუბლაძე – კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა მიხეილ სოხაძე - მივლინებაში ყოფნის გამო

დღის წესრიგი:

1. N1303 კონკურსში, პრეტენდენტის, შპს „არქსტუდიოს"-ს მიერ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოდგენილი თელავის ოფისის ეზოს არქიტექტურული გენგეგმისა და ესკიზის/რენდერის განხილვა;

2. N1303 კონკურსში, პრეტენდეტის მიერ წარმოდგენილი საკონკუროს წინადადების შეფასება

მოისმინეს:

აპარატის წევრმა გერონტი ფრუიძემ კომისიას მოახსენა, რომ შპს „არქსტუდიომ" , საკონკურსო კომისიის 2014 წლის 06 აგვისტოს სხდომის (ოქმი N2) გადაწყვეტილების შესაბამისად, განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია - თელავის ოფისის ეზოს არქიტექტურული გენგეგმა და ესკიზი/რენდერი.

შპს „არქსტუდიო"-ს მიერ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ გამოვლინდა, რომ იგი სრულად შეესაბამება საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემსყიდველის მიერ საკონკუროს განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, გაიმართა საკონკუროს წინადადების შეფასება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებისა და მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად (წინადადების ფასი, კოეფიციენტი – 0.3; არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი, კოეფიციენტი – 0.3; კონკურსატის გამოცდილება, კოეფიციენტი – 0.3 მომსახურების გაწევის ვადები, კოეფიციენტი – 0.1)

შეფასება

საკონკურსო კომისიის მიერ, პრეტენდენტის წინადადებების შეფასების შემდეგ გამოვლინდა რომ შპს „არქსტუდიომ“ მიიღო ჯამური 29,1 ქულა

კომისიამ დაადგინა:

1. შემსყიდველის მიერ საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ N1303 კონკურსში გამარჯებულად გამოცხადდეს შპს "არქსტუდიო" და მოწვეულ იქნას ხელშეკრულების გასაფორმებლად არაუგვიანეს 2014 წლის 22 აგვისტოს.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული, შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარის მ. შ. თენგიზ კალანდაძე

კომისიის წევრები: ნუგზარ ფირანიშვილი

ივანე ცერცვაძე

მაკა შუბლაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, კომისიის წევრი მაკა შუბლაძე ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, 2014 წლის 21 ივლისის გამოცხადებული **N1303** კონკურსის საშუალებით, რვა რეგიონალური ოფისის ეზოების კეთილმოწყობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის წევრი მაკა შუბლაძე